ეროვნული ბიბლიოთეკა


# ოდიში

1991
ხუთშაბათი
8
აგვისტო
№64 (10487)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1936 წლის 1 მარტიდან


ჩვენი მიმოხილვა

## როცა სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდება

### (სეზონის დაწყებიდან სამი თვე გავიდა, როგორია შედეგები?)

ახლა, როცა ჩაის კრეფის სეზონის დაწყებიდან სამი თვე გავიდა, როცა უკან დარჩა მეტი და მაღალხარისხოვანი ნედლეულისათვის ბრძოლის 90 დღე, შეიძლება ზოგიერთი დასკვნების გაკეთება იმის შესახებ, თუ როგორ ვიმუშავეთ, რომელ უბანს დააკლდა გონიერი და მომჭირნე მეურნის ხელი.

როგორც მოტანილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, ჩაის ფრონტზე შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. პირველი აგვისტოსათვის წლიური პროგნოზით გათვალისწინებულის მხოლოდ 49 პროცენტია დამზადებული. მოკრეფილია და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 30.098 ტონა ჩაის შწვანე ფოთოლი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კრეფის ტემპების მხრივ ზუგდიდი საგრძნობლად ჩამორჩება ყველა მეჩაიე რაიონს. საშუალო რესპუბლიკურზე კი ხუთი პროცენტით ნაკლები ნედლეულია დამზადებული.

რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში კარგად ესმით ჩაის კულტურის ფასი. მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებენ მის თითოეულ ბუჩქს, დროულად ატარებენ აგროტექნიკურ ღონისძიებებს, გონივრულად იყენებენ მათს განკარგულებაში არსებულ შესაძლებლობებს და სასურველ შედეგებსაც აღწევენ. კრეფის ტემპი მაღალია ახალკახათის, შამგონის, ახალაბასთუმნის, ნარაზენის, ინგირის, ჯიხაშკარის კოლმეურნეობებში, ორსანტიის, ინგირის, ზედაეწერის, ხეცერის, ნარაზენის მეურნეობებში.

მაგრამ ერთეული საზოგადოებრივი მეურნეობები როდი წყვეტენ საერთო წარმატების ბედს. ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობებში თვითდინებაზე მიუშვეს ჩაის პლანტაციების მოვლადამუშავების საქმე. აგროწესებისა და ვადების უხეში დარღვევით ჩაატარეს გადაბარვა, მინერალური სასუქების შეტანა, გასხვლაფორმირება, პლანტაციების ეკალ-ბარდისაგან გაწმენდა და სხვა სამუშაოები. შედეგმაც არ დააყოვნა. ზოგრგან გადაუხეშდა საკრეფად შემოსული ფოთოლი და გადაღება ვერ მოასწრეს. საჭიროა თანაბარი მონდომებით მუშაობდეს ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა და მეჩაიე. სამწუხაროდ ასეთი განწყობილება არ იგრძნობა რაიონის მეტ წილ კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში. ბევრგან სუსტია შრომის ორგანიზაცია, სრულყოფილად ვერ დანერგეს საიჯარო ურთიერთობა. ყოველივე ამას თვით დამშვიდებით შეჰყურებენ და ქმედით ზომებს არ ღებულობენ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები. არაზუსტ-არისია სოფლის საკრებულოთა მიერ გაწეული მუშაობა. ისინი ჯეროვან შეფასებას ვერ აძლევენ შექმნილ სიტუაციას. ამის ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ ურთის კოლმეურნეობის მაგალითი. კრეფის სეზონის დაწყების დღიდან სამი თვე მიიწურა. ურთელებმა კი პირველი აგვისტოსათვის წლიური პროგნოზით გათვალისწინებული 650 ტონიდან დაამზადეს მხოლოდ 99 ტონა ანუ 15,2 პროცენტი. რა გამართლება უნდა მოეძებნოს ასეთ ჩამორჩენას. ვფიქრობთ არაფერი.

ჩაის წარმოების ამაღლების საქმეში დიდია ქვემოთ ჩამოთვლილი საზოგადოებრივი მეურნეობების წვლილი. უნდა ითქვას რომ სწორედ ეს მეურნეობები სწევენ უკან რაიონის საერთო მაჩვენებლებს. პირველი აგვისტოსათვის საგრძნობლად დაბალი პროცენტული მონაცემები ჰქონდათ ჭაქვინჯის (25 პროცენტი), ცაიშის (29,8 პროცენტი), კოლხიდის (37,7 პროცენტი), ახალსოფლის (38,6), ოქტომბრის (39 პროცენტი). ჭკადუაშის (39,5 პროცენტი) რუხის (41 პროცენტი), კახათის (42 პროცენტი), ჩხორიის (42,7 პროცენტი) კოლმეურნეობებს, დარჩელის (30,1 პროცენტი), დიდინეძის (30,3 პროცენტი), აბასთუმნის (31 პროცენტი) განმუხურის (34 პროცენტი), ონარიის (42,8 პროცენტი) მეურნეობებს.

გვინდა შევახსენოთ ჩამორჩენილ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს თუ როგორი სიმკაცრით და ობიექტურობით იმსჯელა ამას წინათ ქალაქისა და რაიონის პრეფექტურამ ცაიშის, ოქტომბრის კოლმეურნეობებში და ზუგდიდის სამეურნეობათშორისო საკვებწარმოებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხზე პრეფექტურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაკვეთილი უნდა იყოს ყველა იმათთვის, ვინც თავს ვერართმევს დაკისრებულ მოვალეობას.

მდგომარეობის ასე გაგრძელება შეუძლებელია. საჭიროა რადიკალური ზომების მიღება რომ არსებითი გარდატეხა მოვახდინოთ მუშაობის ყველა უბანზე. მაგრამ ისე კი არა, როცა ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდება. ამასწინათ გამართულ თათბირს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების გარკვეულმა ნაწილმა აღუთქვა, რომ მათ განკარგულებაში არსებული რეზერვების მაქსიმალური ამოქმედებით უზრუნველყოფდნენ ათდღიანი პროგნოზის შესრულებას. მაგრამ ბევრმა მათგანმა სიტყვა გატეხა და დაპირება ქარს გაატანა. სიტყვის გამტეხთა შორის კვლავ უნდა მოვიხსენიოთ ურთის, ჭაქვინჯის, ცაიშის, ჭკადუაშის, რუხის, ოქტომბრის, კახათის, კოლხიდის, ნაცატუს, ტყაიას, ყულიშკარის, განმუხურის, დიდინეძის, დარჩელის, ონარიის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები და გამგებლები.

ნედლეულის წარმოებაში ჩამორჩენამ საფრთხე შეუქმნა გადამამუშავებელ მრეწველობას, მზა პროდუქციის მიწოდების დავალებათა შესრულებას.

ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობათა ჩამორჩენაში პირველადი გადამუშავების ფაბრიკების გარკვეული წვლილიც არის. იმის გამო, რომ ზოგიერთი ფაბრიკა მოუმზადებელი შეხვდა ჩაის კრეფის სეზონს, ვერ უზრუნველყო მათ განკარგულებაში არსებული სიმძლავრების მაქსიმალური მოქმედება. ეს პირველ რიგში ითქმის ახალსოფლისა და დარჩელის ჩაის ფაბრიკებზე ნედლეულის რითმულად მიღებას და გადამუშავებას ვერ ახერხებს ყულიშკარის ფაბრიკაც.

მაღალი ხარისხის ნედლეულისათვის ბრძოლაში მკაცრი გამოცდა ელით სოფლის მშრომელებს. გვინდა ვირწმუნოთ, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე ზუგდიდელი მეჩაიეები წარმატებით ჩააბარებენ ამ გამოცდას და თავიანთ წვლილს შეიტანენ რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებაში.

### ჩაის ფოთლის დამზადება რაიონში მაის-ივლისში

| კოლმეურნეობის, საწარმოების მეურნეობის და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების დასახელება | წლიური პროგნოზი (ტ.) | ფაქტიური შესრ. (ტ.) | პროც. |
|---|---|---|---|
| ახალაბასთუმანი | 1320 | 770 | 58,3 |
| ახალსოფელი | 1630 | 629 | 38,6 |
| „კოლხიდა“ | 1060 | 400 | 37,7 |
| ახალკახათი | 855 | 596 | 69,7 |
| გრიგოლიში | 840 | 423 | 50,3 |
| ინგირი | 3130 | 1802 | 57,6 |
| კახათი | 2930 | 1230 | 42,0 |
| კოკი | 635 | 335 | 52,7 |
| კორცხელი | 1470 | 768 | 52,2 |
| ნაცატუ | 970 | 464 | 47,8 |
| ნარაზენი | 2690 | 1556 | 57,8 |
| ოდიში | 1480 | 646 | 43,6 |
| ყულიშკარი | 1480 | 716 | 48,4 |
| ოქტომბერი | 1460 | 570 | 39,0 |
| რიყე | 1650 | 890 | 53,9 |
| რუხი | 3960 | 1627 | 41,0 |
| შამგონა | 945 | 557 | 58,9 |
| ჩხორია | 1420 | 607 | 42,7 |
| ტყაია | 1040 | 473 | 45,5 |
| ცაიში | 1135 | 338 | 29,8 |
| ურთა | 650 | 99 | 15,2 |
| ჭაქვინჯი | 1680 | 420 | 25,0 |
| ჭითაწყარი | 1440 | 669 | 46,4 |
| ჭკადუაში | 2000 | 790 | 39,5 |
| ჯიხაშკარი | 1050 | 588 | 56,0 |
| ორულუ | 350 | 192 | 54,8 |
| **მეურნეობები:** | | | |
| აბასთუმანი | 800 | 248 | 31,0 |
| ანაკლია | 200 | 84 | 42,0 |
| განარჯიის მუხური | 150 | 51 | 34,0 |
| დიდინეძი | 310 | 94 | 30,3 |
| დარჩელი | 1500 | 452 | 30,1 |
| ზედაეწერი | 4830 | 2806 | 58,0 |
| ნარაზენი | 2856 | 1467 | 51,4 |
| ონარია | 2100 | 898 | 42,8 |
| ხეცერა | 2675 | 1473 | 55,0 |
| ინგირის ჩაის აგროსამ. კომ. | 3730 | 2352 | 63,0 |
| ჩაის ფილიალი | 255 | 128 | 50,2 |
| ორსანტია | 580 | 381 | 65,7 |
| სულ რაიონში | 62000 | 30098 | 49,0 |

ქ. ზუგდიდის საკრებულოს არჩევნების მე-4 ოლქის ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

## დეპუტატ ბ. გუნავას განცხადება

ამა წლის 15 აგვისტოს, ხუთშაბათს, 19 საათზე, პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობის სააქტო დარბაზში გავმართავ შეხვედრას ჩემს ამომრჩევლებთან. შეხვედრის მიზანია ქალაქში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი და ამომრჩევლებთან უშუალო კონტაქტის დამყარების ფორმის გამონახვა.

ამ ოლქში შემავალ ქუჩის კომიტეტების თავმჯდომარეებს მივმართავ თხოვნით, დააუწყონ ამომრჩევლები და ხელი შეგვიწყონ შეხვედრის ორგანიზებაში.

ქალაქისა და რაიონის პრეფექტურის განკარგულება

# უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი

წინა წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში სრული განუკითხაობა იყო მოსავლის აღების ორგანიზაციის საქმეში. ადგილი ჰქონდა გარკვეული ოდენობით მარცვლეულის, თხილის, ციტრუსისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დატაცების ფაქტებს, რითაც დიდ ზიანს აყენებდნენ საზოგადოებრივ წარმოებას. ანალოგიური მდგომარეობა მიმდინარე წელსაც გრძელდება. მეურნეობათა ხელმძღვანელები, სოფლის საკრებულოთა გამგებლები სრულ ინერტულობას იჩენენ და რიგ შემთხვევაში მოსახლეობის ერთი ნაწილის თვითნებური მოქმედების მიმართ შემრიგებლურ პოზიციაზეც კი დგანან. ამ საქმეში სრული სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით პრეფექტურას გადაუდებელ საქმედ, პირველი რიგის ამოცანად მიაჩნია:

1. სოფლის საკრებულოთა გამგებლებმა საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთობლივად გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიებები, რათა არ დაუშვან მოსავლის აღების დროს დატაცების, მითვისებისა და გაფუჭება განიავების ფაქტები.

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობებისა და პირობების ზუსტი დაცვით სრულად ჩაიბარონ კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში მოწეული მოსავალი, წარმოებული პროდუქცია, ხელშეკრულების ზევით წარმოებული კი გასცენ მეპატრონეს საერთო წესის შესაბამისად.

3. პროდუქციის დატაცების, მითვისებისა და გაფუჭება-განიავების თითოეულ ფაქტს მიეცეს პრინციპული შეფასება და დარღვევებში მხილებული დამნაშავენი გადასცენ სამართალდამცავ ორგანოებს.

4. დაევალოს შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონულ განყოფილებას მოსავლის აღების პერიოდში სისტემატურად მიავლინოს სოფლებში ოპერატიული ჯგუფები და სოფლის ხელმძღვანელობასთან ერთად მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობით მიაღწიონ მოსალოდნელ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას. დარღვევების თითოეულ ფაქტზე მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი
თ. თორთოლიანი.

ეს სიახლეა

# უჩვეულო ამწე

ამ დღეებში ჩვენი თანაქალაქელები, ალბათ, შეამჩნევდნენ მერაბ კოსტავას ქუჩაზე № 32 სახლის ეზოში დადგმულ უცხო დანადგარს, რომელსაც ტექნიკით დაინტერესებული ადამიანი გულგრილად გვერდს ვერ აუვლის.

ეს გახლავთ შოთა ილიას ძე კვარაცხელიას მიერ შექმნილი ავტომობილების ელექტრომექანიკური ამწე, რომელიც თავისი კონსტრუქციით სრულიად განსხვავდება სერიული წარმოების ამწეებისაგან, რაციონალიზატორული წინადადების დონეზეა შესრულებული და ხასიათდება მთელი რიგი დადებითი თვისებებით.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა ხშირია ჩვენში ელექტროენერგიის გამორთვები. ეს პრობლემა შ. კვარაცხელიას მიერ შექმნილი ავტოამწისათვის საშიში არაა, იგი ადვილად გადაიყვანება მექანიკურ მდგომარეობაში და მასზე შემდგარი მანქანის სახელურის მეშვეობით ვერტიკალურად გადაადგილება ძალზე ადვილია. ამწეს გააჩნია სხვადასხვა სახის რამდენიმე დამზღვევი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს მასზე მუშაობის უსაფრთხოებას. ის არ შედგება რაიმე დეფიციტური, რთული დეტალებისაგან, მისი ხანგამძლეობა და ცვეთამედეგობა დიდია.

ამწე დასაშლელი ასაწყობი კონსტრუქციისა და ადვილად გადაიტანება ერთი ადგილიდან მეორეზე, მის დასამონტაჟებლად წინასწარ არავითარი შრომატევადი სამუშაოები არაა ჩასატარებელი. იგი შეიძლება დაიდგას ნებისმიერ სწორ, მყარ ადგილზე. ამწე გამოიყენება საველე პირობებშიც, ნებისმიერ ამინდში, რის საშუალებასაც იძლევა მისი სახურავი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ადვილად გადაიხსნება.

შოთა კვარაცხელია პენსიონერია, ის რაციონალიზატორის ნიშნითაა დაჯილდოებული. სოფლის მეურნეობის მუშაკებს ახსოვთ მის მიერ შექმნილი უნივერსალური სასხურებელი აპარატი.

კარგი იქნება თუ შ. კვარაცხელიას მიერ შექმნილი ავტოამწეთი დაინტერესდებიან შესაბამისი პროფილის ორგანიზაციები და გამოიყენებენ თუნდაც მის სასარგებლო იდეებს.

დ. ნადარეიშვილი,
ზუგდიდის სოფლისა და სატყეო მეურნეობის რაიონული საწარმოო გაერთიანების სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის წამყვანი ინჟინერი.

გამოხმაურება

# საცოდავი პეტრე...

სწორედ რომ მორგებული სათაური შეურჩევია ჟურნალისტ კლარა ფახუაშვილს გაზეთ „ოდიშის“ 23 ივლისის ნომერში დაბეჭდილი წერილისათვის „სანამ პავლე მოვიდოდა“, რომელშიც კომერციულ მაღაზიებზე და კომერსანტებზეა საუბარი.!

სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასების საოცარი ზრდა ყველაზე მეტად პატიოსან ხალხს დააწვა, რის ხარჯზეც, რბილად რომ ვთქვათ, „მწვანე გზა“ დაეთმო სპეკულანტებს, ე. წ. „კომერსანტებს“. საკითხავია, არიან თუ არა დღევანდელი კომერციული მაღაზიის მესვეურნი ისეთი კომერსანტები, სიტყვის არსს რომ შეეფერება. საეჭვოა. ისინი ლამაზად გაფორმებულ მაღაზიებში მოკალათებულ წელგამართულ სპეკულანტებს უფრო გვანან.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ზოგიერთი „კომერსანტი“ და სპეკულანტი ერთნაირ შთაბეჭდილებას ტოვებს. ორივე საზოგადოების გატყავების ხარჯზე მიელტვის პირად გამდიდრებას.

როდის მოეღება ამას ბოლო? ნუთუ გაგრძელდება სახელმწიფო მაღაზიებიდან საქონლის გაზიდვა „კომერსანტებისა“ და სპეკულანტების მიერ?

წესრიგი აუცილებლად უნდა დამყარდეს, მაგრამ ვშიშობთ, სანამ „პავლე მოვიდოდეს“ ვინ იცის პეტრეს ტყავი რამდენჯერ გაძვრება?!

მ. ბუცხრიკიძე,
პედაგოგი.

ჩვენი კალენდარი

# დავით გამრეკელი

80 წლის წინათ, ცხრა აგვისტოს, დაიბადა დავით გამრეკელი (1911-1977), მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი.

დ. გამრეკელი დაიბადა ჭიათურაში. 1935 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ოთხი წლის წინათ, კი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1938 წელს დ. გამრეკელმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ვოკალისტთა პირველ საკავშირო კონკურსში. 1944-1952 წლებში იგი საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტი იყო და მრავალი გმირი ამეტყველა მომთხოვნი მოსკოველი მსმენელის წინაშე. გარდა ამისა 1952 წლიდან ქვეყნის დიდ თეატრებში წარმატებით გამოდიოდა როგორც მომღერალი.

დავითი წლების მანძილზე ეწეოდა საინტერესო პედაგოგიურ მოღვაწეობას. ლექციებს კითხულობდა მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში. 1950 წელს მიანიჭეს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

(საქინფორმი)

არის ასეთი ქვეყანა

# ფინეთი

ფინეთი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყანაა. მისი ტერიტორია შეადგენს 337 ათას კვადრატულ კილომეტრს. მოსახლეობა—4.9 მილიონს. აქედან ფინელები შეადგენენ 93,5 პროცენტს, 6,3 პროცენტს—კი შვედები.

ქვეყნის დედაქალაქი ჰელსინკი ნახევარ მილიონიანი მოსახლეობით. სახელმწიფო ენად ითვლება ფინური და შვედური. მოსახლეობის 90,2 პროცენტი მისდევს ევანგელიურ—ლუთერანულ აღმსარებლობას.

დიდ სამამულო ომში ფინეთი გერმანიის გვერდით იბრძოდა. 1944 წელს მოსკოვში მიღებულმა შეთანხმებამ შეიარაღების თაობაზე საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის და ფინეთის მთავრობებს შორის სათავე დაუდეს ახალ, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებას.

ფინეთი ატარებს სახელმწიფოებთან მშვიდობიან, ნეიტრალურ საგარეო პოლიტიკას. მათ შორის საბჭოთა კავშირთანაც. ბოლო ათწლეულების მანძილზე საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის გაფორმებულ იქნა რიგი დიდმნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავენ სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს. ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ამდაგვარ ურთიერთ კავშირებში უკავია აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გრძელვადიან პროგრამას.

ფინეთი ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაური გახლავთ პრეზიდენტი. ეს უკანასკნელი ერთპალატიან პარლამენტთან ერთად ანხორციელებს საკანონმდებლო, ხოლო მთავრობასთან ერთად აღმასრულებელ ფუნქციებს.

ფინეთი განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. სახელმწიფოს ძირითადი ბუნებრივი სიმდიდრეა ტყე. ამასთან გააჩნია ტიტანომაგნეტიტი, სპილენძი, თუთია, რკინა, გრანიტი, მარმარილო და სხვა.

სოფლის მეურნეობის მთავარი მიმართულება მეცხოველეობაა, რომელიც სახალხო მეურნეობის შემოსავლების 70 პროცენტს შეადგენს.

ფინეთში რკინიგზა ძირითადად ეკუთვნის სახელმწიფოს. მთავარი სავაჭრო პარტნიორებია: სსრკ, შვეცია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები.

ნეტავი დედას შვილმრავალსა!

# კვალი ნათელი...

რაიონში ვის არ ახსოვს პირველი შემგონელი ტრაქტორისტი ივანე წყაროზია. პირველი ხნული მან გაიყვანა სოფელში, ახლა ორსანტიაში, კოკში, დარჩელში, კახათში თუ ცაიშში. დაუღალავად იბრძოდა სოფლის აღორძინებისათვის. მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო. ამიტომაც სიყვარულით სარგებლობდა მშრომელ ადამიანებში.

სამაგალითო ო, ი ჰქონდა ივანეს. მან მეუღლე ლისასთან ერთად 9 შვილი აღზარდა. სამწუხაროდ ოჯახის მამა ადრე გამოეცალა ფუძეს. მთელი ტვირთი დედას დააწვა. ხუმრობა ხომ არ არის 9 შვილის აღზრდა, მან უნდა დაიტრაბახოს, შვილები აღუზარდეო, ყველა მათგანი მისაბაძ პიროვნებებად ჩამოაყალიბა.

—მთავარი,—ამბობს ქალბატონი ლისა,—არის შვილების ზნეობრივი აღზრდა, შრომის სიყვარული კი ბუნებრივად გადამდებია იქ, სადაც პატიოსნება და ურთიერთ პატივისცემაა.

დედის კულტი იგრძნობა დღესაც ოჯახში, მისი ნათქვამი უსიტყვოდ სრულდება. 80 წელს მიღწეული ქალი კვლავაც ენერგიულად შრომობს, ტკბილი დედა ახლა შვილიშვილების ვაჟიშვილები ემზადება რძლებს, მზრუნველობას და კეთილ დარიგებას არ აკლებს მათ.

თითქოს მედეას სიბრძნე ამეტყველებულა მოხუცი კოლხი ქალის სიტყვებში. ხასიამოვნოა მასთან საუბარი საოჯახო აღზრდის საკითხებზე, მას ხომ ამ მხრივ ძალზე მდიდარი გამოცდილება გააჩნია, დარიგებებს აძლევს რძლებს, ახლობლებს, სრულიად უცნობებსაც. მისი ცხოვრებით ნაკარნახევი სიბრძნე გასაგებია და იოლად მისაღები ირგვლივ მყოფთათვის.

ლისას ცხრავე შვილმა შექმნა ოჯახი. ბედნიერია შვილების შემყურე დედა. ორდენოსან დედას ქალიშვილიც ჰყავს ორდენოსანი, მოწინავე ტრაქტორისტი ქალი ლუიზა წყაროზია. მამის კვალს მიჰყვა იგი, შრომამ გამოაჩინა. მრავალშვილიან ოჯახში არა მარტო შვილთა რიცხვით, არამედ საქმითაც გამორჩეული ადამიანები გაიზარდნენ. ამისთანებზე უთქვამს სულმნათ აკაკი წერეთელს: „ბედნიერია ის ერი, რომელსაც კარგი დედები ჰყავს“.

დაე, წყაროზიების ოჯახის კვალზე შვილმრავლობა დაფუძნებოდეს ყოველ ახალგაზრდა ოჯახს, კოლხი მედეას სიბრძნე გამობრწყინებულიყოს მათ ცხოვრებაში.

ა. ლურწკაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩიხში მომწყვდეულნი

24 ივლისს შემზარავი დილა გაუთენდა ფაიფურის დასახლების, პაპანინისა და ყუფუნიას ქუჩის ბოლო ნაწილის მოსახლეობას. დილის 10 საათზე გამაყრუებელმა აფეთქების ხმამ შეაზანზარა მიმდებარე ტერიტორია. ზუგდიდი-ჯვარის რკინიგზის ხაზის მესამე კილომეტრზე ლიანდაგიდან გადავიდა რამდენიმე როზოდა და მათ შორის — ბენზინით სავსე 4 ცისტერნა, რამოდენიმე წუთის შემდეგ გაჩნდა ხანძარი, რომლის დროსაც ერთი ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე ადამიანმა მიიღო მძიმე დამწვრობა, ფაქტის დაწვრილებით აღწერას არ შევუდგებით, რადგანაც ინფორმაციები ავარიის შესახებ პრესაში გამოქვეყნდა და ტელევიზიით გადაიცა. თუმცა გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხანძრის ჩაქრობა მხოლოდ დღის ბოლოსთვის გახდა შესაძლებელი, ხოლო ცისტერნების გაუვნებელყოფა, მეორე დღესაც გაგრძელდა, ავარიის გამომწვევ მიზეზებს სპეციალური კომისია სწავლობს, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს ძიება.

ძირითადად, რამაც გადაგვაწყვეტინა ამ წერილის დაწერა, ეს არის ავარიის მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობის პრობლემებისა და მათი გასაჭირის საამშკარაოზე გამოტანა. ჩვენი ძირითადი მიზანია ამ ოჯახების ნორმალური არსებობისათვის საჭირო ელემენტარული პირობების შექმნება. ამ უწყებებისადმი, რომელთაც ეს ევალებათ.

რა აწუხებს ამ უბნის მოსახლეობას? — დავიწყოთ იმით, რომ ამ უბანში სარკინიგზო შემთხვევები და ავარიები იშვიათი როდია. მინდა გავიხსენო ექვსიოდე წლის წინანდელი შემთხვევა, როდესაც ეს უბანი მიწისა პირისაგან აღგვას ძლივს გადაურჩა. რა მოხდა? — იკითხავს მკითხველი. რა უნდა მომხდარიყო იმაზე უფრო მეტი, როცა სახლის წინ ორ სამოც ტონიან ბენზინით სავსე ცისტერნას ხანძარი გაუჩნდება. ღვთის წყალობით მაშინ ამ შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მოსახლეობა კი თავს იმით ინუგეშებდა, კიდევ კარგი ცისტერნა არ აფეთქდა, ან მაზუთი არ იყო რომელიმე მათგანში. მკითხველი მიხვდება რატომ? — ყველასათვის თუ გასაგები არაა, მიხვდრა მაინც შეიძლება თუ რას გამოიწვევს 60-ტონიანი ბენზინით სავსე ცისტერნის აფეთქება ან ამავე ტევადობის ცეცხლმოდებული მაზუთის დაღვრა, თუნდაც ჩვენს პირობებში, როცა მეხანძრეების ვიყკაცობა რომ არა, ხანძარჩამქრობი ტექნიკით ვერ დაიკვეხნით. ხანამ საუბრის ძირითად თემას გავაგრძელებდე, მინდა აღვნიშნო ის, რომ 24 ივლისსაც თავი გამოიჩინა სახანძრო დაცვის შემადგენლობამ (უფროსი ნ. სვირავა), რომელთა მადლიერია მოსახლეობა.

რაც შეეხება ლიანდაგიდან ვაგონების გადასვლას — ამას დიდი ხანია შეეჩვივნენ პაპანინის ქუჩის ბოლოს მცხოვრებნი ანთიებისა და მკადუების ოჯახები. ეშმაკმა უწყის როდის რომელი მასალით, ბენზინით თუ ქვიშით დატვირთული ვაგონი შეუვარდებათ მათ. სასაცილოა ღმერთმანი, სატირალი რომ არ იყოს.

მაინც რაშია საქმე? უოველივე ამას ხომ გამომწვევი მიზეზები გააჩნია? — იკითხავს გაოცებული მკითხველი. გააჩნია და მერე როგორი. უპირველესად ყოველივე ამის გამომწვევი მიზეზთაგანია უპასუხისმგებლობა და დაუდევრობა იმ უწყებებისა და ორგანიზაციებისა, რომელთაც ამის უზრუნველყოფა ევალებათ, და ამასთანავე რა თქმა უნდა იმ მუშებისა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან მოცემულ მომენტში ნახსენებ საქმესთან. მეორე — ზუგდიდი-ჯვარის რკინიგზის ხაზის ეს მონაკვეთი დიდი ხანია სავალალო მდგომარეობაშია და სარემონტო სამუშაოები არავის ჩუტარებია... მეტი რომ არ გავაგრძელოთ ეს მიზეზები კმარა იმისათვის, რომ აქაურ მოსახლეობას სიმშვიდე დაკარგული ჰქონდეს.

წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ მოსახლეობის წუხილმა აგვაღებინა ხელში კალამი, მაგრამ ძირითადი უთქმელი დაგვრჩა.

24 ივლისის შემდეგ საკმაოზე მეტი დრო გასული, ზუგდიდი-ჯვარის რკინიგზის ხაზზე მოძრაობა ჯერაც არ დაწყებულა და საკითხავია: როდის დაიწყება? შეიძლება შემდეგი კითხვაც დაისვას? — იქნება კი ამ ხაზზე უახლოეს ხანებში მოძრაობა?

უფრო ნათლად რომ ვთქვათ, დღეისათვის გზის ამ მონაკვეთზე (პაპანინისა და ყუფუნიას ქუჩების ბოლოს) ავარიის შედეგად ხაზი ისედაც დაზიანებულია, უფრო მეტი, რკინიგზის ლიანდაგი ბევრგან აყრილია და... მოსახლეობა კატეგორიულად წინააღმდეგია რკინიგზის შემდგომი არსებობისა ამ უბანში, თუმცა ყველა ასე როდი ფიქრობს, მაგრამ დიდი უმრავლესობა რკინიგზის ხაზის აღდგენის წინააღმდეგია.

სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, მოსახლეობა, ასპროცენტიან ჭეშმარიტებას თუ არ ლაპარაკობს, ყოველ შემთხვევისათვის არ ტყუის და მათი პრეტენზიებიც სამართლიანია. ერთხელაც კიდევ წყალზე გატყდება და როცა ვაგონი კიდევ გადაბრუნდება, უკვე გვიან იქნება, რადგანაც შემთხვევითი ავარია შეიძლება დიდ ტრაგედიად გვექცეს.

რეალური ვითარება დღეისათვის ასეთია: სასწორის ერთ მხარეს იმყოფება მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობა, რომელიც კატეგორიულად წინააღმდეგია რკინიგზის ხაზის შემდგომი არსებობისა გზის ამ მონაკვეთზე, ხოლო სასწორის მეორე მხარეს — კი რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს რკინიგზის ტრანსპორტის სამმართველო, რომელსაც ეკონომიურად არ აწყობს ზუგდიდი-ჯვარის რკინიგზის ხაზის გაუქმება, რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს რკინიგზის ტრანსპორტის სამმართველო, რომელიც შეიძლება თანაუგრძნობს მოსახლეობას, მაგრამ არც ერთი მხარისათვის არავითარი გარანტიების მიცემა არ შეუძლია.

საითკენ გადაიხრება ისარი? —ამას მოვლენების შემდგომი განვითარება გვიჩვენებს, თუმცა თითო საათი ოქროს ფასად უღირს იმ ორგანიზაციებს, რომელთაც რკინიგზის სადგურზე პრობლემები შეექმნათ ვაგონების დაცლის გამო. თავს უფლებას მივცემთ, რომ დავუმატოთ: ამ ვითარებაში საუკეთესო ვარიანტი ალბათ ის იქნება, თუ ორივე მხარე კომპრომისებზე წავა და ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო არ დაიძაბება.

წერილის ბოლოს მინდა აღვნიშნოთ ისინი, ვინაც მადლობის სიტყვა დაიმსახურა მოსახლეობისაგან 24 ივლისს. ესენია: უპირველესად მეხანძრეები, აგრეთვე ყველა ვინც მხარში ედგა მოსახლეობას იმ მძიმე წუთებში. აგრეთვე ისინი, ვინც ხანძრის პირველი წუთებიდანვე მთელი ორი დღის მანძილზე არ მოშორებია იქაურობას: პრეფექტის მოადგილე პ. ჩუხუა, რესპუბლიკის უშიშროების დეპარტამენტის ზუგდიდის განყოფილების უფროსი გ. ზაქარაია, „საქქალაქმრეწვის" საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ო. ფაცაცია, შს საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე რ. ბერიშვილი და სხვ.

**ბოვი ნაჭყებია.**

---

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

# მახინჯი სტერეოტიპი უნდა დაიმსხვრეს

ვაჭრობა და კომერცია. ოქტომბრის რევოლუციით შობილმა ტოტალიტარულმა სისტემამ სხვა ბევრ უკუღმართობასთან ერთად ყოველნაირად შეუწყო ხელი აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ ადამიანებზე ნიჰილისტური წარმოდგენის ჩამოყალიბებას. ასეთმა განწყობილებამ თავის აპოგეას მიაღწია ეგრეთ წოდებული უძრაობის სულისშემხუთველ პერიოდში. ფორმალურად იკვეთებოდა სოციალისტური ვაჭრობის წესების დამრღვევი ულირსი მუშაკის ხატი, რომელიც საჭიროებისამებრ ფიგურირებდა ათასი სახის სატირიდო მასალებსა, თუ სტატისტიკურ ანგარიშებში. ასეთი პირნი ხშირად ქცეულან განტევების ვაცად, რათა კორუმპირებულ ფუნქციონერებს საკუთარი უცოდველობა შეენიღბათ. ფაქტიურად სახეზე იყო და დღემდე ნაწილობრივ გრძელდება პარადოქსული რეალობა: მახინჯი, ალოგიკური სავაჭრო სისტემა აიძულებს პიროვნებას ჩაიდინოს საძრახი საქციელი, ითვალთმაქცოს, ატყუოს თავისი თანამემამულე, რათა სახელმწიფო გეგმა შეასრულოს. და ეს უკანასკნელი მანამ არის ჩართული ჩრდილოვანი ეკონომიკის საშინელ კარუსელში, სანამ ვაჭრობის წესების დამახინჯებაზე არ გამოიჭერენ.

ჩვენს ცნობიერებაში ასეთი სტერეოტიპიც ხუდობს: ხელმოკლეობით, უამრავი ყოფითი გასაჭირით გულშეპირვებულ მშრომელთა ფენას, განსაკუთრებით ინტელიგენციას ფულის კეთების, საქმოსნური „ჩალიჩის". ალღოთი - აღჭურვილი პირების მიმართ გარკვეული უნდობლობის განცდა დაეუფლა. ამ ფენომენს წინა საუკუნეებთან აქვს ერთგვარი გენეტიკური კავშირი. ეს პროცესი რელიეფურად მოჩანს მე-19 საუკუნის საქართველოს მაგალითზეც. შრომაზე გულარძნილ, გართობის მოყვარულ თავადაზნაურობას ჯიქურ მიეჭრნენ მოხვეჭის ჟინით აღტკინებული უჩინო, მაგრამ სოციალურად მოქნილი, კადნიერი ადამიანები, ყველასათვის ცნობილია ახალგამომცხვარი ჩარჩ-ვაჭართა კლასის წარმომადგენლების — სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისა და სხვა ფულავას სოციალური პორტრეტები. რა უნდა დაეპირისპირებინა ლოგიკამოცლილ და დაზანტებულ თავად-აზნაურობას მოზღვავებული ჩარჩ-ვაჭრული ტენდენციებისათვის? მის ხელთ იყო ერთადერთი იარაღი და გამოიყენა კიდეც: მორალურ-ფსიქოლოგიური ბოიკოტი გამოუცხადა ვაჭართა ფენას, დაადგა მისი გაკიცხვის, გაქიაქების გზას.

შემდგომ ჩვენი ხალხის ცხოვრებას ნორმალური კალაპოტით რომ ედინა, ცივილიზებული საზოგადოებების დარად მყიდველთა და გამყიდველთა ურთიერთმიმართება სამართლებრივი მექანიზმებით რომ დარეგულირებულიყო, მათ შორის ნდობის ხიდის ჩარღვევას თავიდან ავიცდენდით. თვით ტერმინში „ვაჭრობა, კომერცია" უფრო მნიშვნელოვანი შინაარსი დევს, ვიდრე ეს საზოგადოების ერთ ნაწილს წარმოუდგენია. იგი აღიქმება, როგორც ერთერთი აქტიური სოციალური ბერკეტი ადამიანთა ყოფის განახლების გზაზე. ეს ვაჭრობის საბჭოურმა სისტემამ აჰყარა მას პატივი. ჩვენში გაბატონებულმა გაუგებარმა პირობებმა გვიკარნახა გამოგვეძერწა საკუთარ წარმოდგენაში ულირსი მოქალაქის გროტესკული ტიპი. ნაკლებად ვიწუხებდით თავს იმაზე, რომ ამ ნიღბის უკან დაგვენახა წინდახედული და უნარიანი, მოხერხებული და საზრიანი, ბაზრის კონიუნქტურის, კომერციის მრავალ საიდუმლოებათა მწვდომი კაცი.

რამ გვიკარნახა მსჯელობის ამ მიმართულებით წაყვანა? იმამ ღრმა შეგნებამ, რომ ხვალ და ზეგ, განახლების გზაზე დამდგარ საქართველოში ცნებებმა და ღირებულებებმა თავისი სახელი უნდა დაიბრუნონ. ვაჭრობის დღემდე მოქმედი სისტემა ანაქრონიზმია. ამ სფეროს წარმომადგენლები უნდა ჩავაყენოთ იმ პირობებში, რა პირობებშიაც მათი ხელობის ხალხი იმყოფება ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყნებში. ვაჭრობის სტრუქტურების შეცვლა უცილოდ აამოქმედებს მომხმარებლებთან ურთიერთობის შინაგან, ბუნებრივ რეგულატორებს. ღირსების გრძნობა, თანდათან მოხსნის გამყიდველისა და მომხმარებლის ურთიერთობის ყველა პრობლემას.

კიდევ ერთხელ ჩავუფიქრდეთ იმას, რომ ჩვენი ცხოვრების წესია ძირფესვიანად შესაცვლელი. საზოგადოება, სადაც არ არიან მესაკუთრენი, აღგილს იმკვიდრებს „საარვისო საკუთრება". ჩნდება საერთო უპასუხისმგებლობის სინდრომი, რამაც დეგრადაციამდე მიგვიყვანა.

დროა, საკუთრებამ იპოვოს თავისი პატრონი. იმედით შევცქერით იმ დროს, როცა ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების ზნეობრივი ალორძინების შესაძლებლობა რეალური იქნება. კვლავაც გაცოცხლდება ნამუსიანი, ქველმოქმედი ვაჭრის კეთილი სახე, რომელთა მაგალითებით სავსეა საქართველოს უახლოესი წარსული.

მკითხველი უდაოდ შემოგვედავება: ასე უმტკივნეულოდ ამ პრობლემას რომ მოეგვარებოდეს, რაღა გვიჭირსო. რათქმა უნდა ნამუსგარეცხილი ჩარჩისა და ანგარებიანი სოვდაგრის მემკვიდრენი ხვალინდელ საქართველოსაც ეყოლება, მაგრამ მორალური და იურიდიული მექანიზმები თანდათან უგანგაოდ სორცევს შექმნიან მათ გარშემო; დამნაშავე, ულირსი მოქალაქეების მიმართ არასდროს არ ქონია მოჩლუნგებული ქართველობას იმუნიტეტი. და მით უფრო გამორიცხულია ეს თავისუფალ, დემოკრატიულ, ქრისტიანულ საქართველოში.

**ზ. ცხონდია.**

---

ფელეტონის მაგიერ

# მოდი, ვნახოთ...

ალბათ ყველა ჩვენგანს კარგად ახსოვს დედის რძესთან ერთად შესისხლხორცებული ქართული ზეპირსიტყვიერების უმშვენიერესი ნიმუში: „მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი" და ა. შ.

ახლა, ცოტა ხანი შევიწუხოთ, გვერდით ვამთვიაროთ და „მოდი, ვნახოთ"... რა, ვენახი არა! — ქალაქი ვნახოთ — ძველი მშობლიური ზუგდიდი. მისი ელემენტური, ქუჩები და ხიდ-გზები, [illegible] და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ღელემდინარეთა სანაპირონი; ვნახოთ და მერე „შთაბეჭდილებით დატვირთულებმა" ერთხმად შევძახოთ კითხვისნიშნიანი სამი სიტყვა: — „რამ შეჭამა ქალაქი?".

ვიცი, ზოგიერთი თქვენთაგანი იტყვის: „მოხეტიალე, უპატრონოდ მიშვებულმა პირუტყვმა შეჭამაო ქალაქი". ზოგიც იმ ცოდვას საოცრად მომრავლებულ ვირთხებს აჰკიდებს ზურგზე.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდი, ვნახოთ...

(დასასრული)

მავანი კიდევ — ზნეობის დეფიციტს, საშემსრულებლო დისციპლინის მოშლას, განუკითხაობასა და გულგრილობას დასდებს ბრალს... ქალაქი ყველასია და მისი ჭირისუფალიც ყველა უნდა ვიყოთ. სწორი ბრძანებაა!

ერთი სიტყვით, ბევრი რამე თუ ვინმე ყოფილა ქალაქის „შეჭმის" შემძლე. თქვენ წარმოიდგინეთ, ნაგავს და ანტისანიტარიასაც ძალუძს თურმე ქალაქის „შეხრამუნება".

ხუმრობა იქით იყოს და, მართლაც, ქალაქის ცალკეული მონაკვეთი ისეა ნაგვითა და ათასნაირი ნარჩენებით დაბინძურებული, კალმით ვერ აღწერს კაცი. ამ მხრივ ნამდვილად ეკუთვნის რეკორდი შენგელიას ქუჩის გაგრძელებაზე, ე. წ. „ვექტორის" მიმდებარე ტერიტორიას. ერთ დროს თვალს ახარებდა ეს მობეტონებული და ფართო საავტომობილო ტრასა. ახლა კი გზაზე გაჩენილ ორმოებს ვინ ჩივის, გზის პირები მაინც რომ არ იყოს ჩახრეგბულ-გატიალებული. ეტყობა, კინორეჟისორებმა არ იციან ასეთი ადგილის არსებობა, თორემ დეტექტიური ან სათავგადასავლო ფილმისთვის უკეთეს პანორამას ვერც ინატრებდა ადამიანი.

სტიქიური ნაგავსაყრელების ადგილმდებარეობის მითითება არ არის რთული საქმე. რთული და ძნელია კონკრეტული ქმედება: დასუფთავება, სანიტარული კულტურის დაცვა, ეკოლოგიური პრობლემების გააზრება, იმ ვაიმოქალაქეთა ნამუსზე შეგდება, ვინც საკუთარ საოჯახო ნაგავს სხვის კარზე ყრის...

ჰოდა, დროა ამ სირთულესაც შევეჭიდოთ. ისე ვქნათ, რომ ვინძლო დაგვიანებული სინანულით არ ვკითხულობდეთ: „რამ შეჭამა ქალაქი?!"

ჯ. ჯაბადარი.

---

## საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს ა. ბუკიას სახელობის ქ. ზუგდიდის № 62 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

### აცხადებს

მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის ცხრაკლასდამთავრებულთა ბაზაზე სამ და ერთწლიანი სწავლების ვადით შემდეგ სპეციალობებზე:

ელშემდუღებელი ავტომობილის მართვის უფლებით — ერთი ჯგუფი. 2. ხარატი — ერთი ჯგუფი. 3. ელმონტიორი ავტომობილის მართვის უფლებით — ერთი ჯგუფი. 4. მკერავი — ერთი ჯგუფი.

საშუალო დამთავრებულთა ბაზაზე ერთწლიანი სწავლების ვადით:

1. ავტოამწის მემანქანე, ავტომობილის მართვის უფლებით — ერთი ჯგუფი. 2. სამშენებლო დურგალი — მეპარკეტე — ერთი ჯგუფი. 3. მკერავი — ერთი ჯგუფი. 4. ავტოშემკეთებელი ზეინკალი ავტომობილის მართვის უფლებით — ერთი ჯგუფი.

სასწავლებელში სწავლა უფასოა, გარდა ამისა, მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით, კეთილმოწყობილი ბინით და სტიპენდიით 70 მანეთის ოდენობით. ასევე მიეცემათ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაეუფლებიან პროფესიას და მიიღებენ საშუალო განათლებას, მიეცემათ დიპლომები. სასწავლებელში სწავლის პერიოდი ჩაითვლება საერთო და უწყვეტ სტაჟად. ყველა კურსდამთავრებული სასწავლებელში მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოზე განაწილდება ქალაქის წარმოება-დაწესებულებაში.

სასწავლებელში მოქმედებს ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკის, ქიმიის, უცხო ენის, ისტორიის, ფეხბურთისა და მძლეოსნობის წრეები, სასწავლებელს გააჩნია საკუთარი სტადიონი, სპორტული მოედნები, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სახელოსნო, მიკრო სამკერვალო ფაბრიკა და სატბორე მეურნეობა.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, ფაკულტეტის ჩვენებით, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), დახასიათება სკოლიდან, ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 286 ან 086 უ), 6 ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4), და ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. სასწავლებელში ჩაირიცხებიან 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონები და ვაჟები.

სასწავლებელში ჩარიცხვა ხდება მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით — განსაზღვრული საკონკურსო შერჩევით. ჩარიცხულთა სიები სასწავლებელში ქვეყნდება მეცადინეობის დაწყებამდე.

პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩარიცხული პირები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით მეცადინეობაზე არ გამოცხადდებიან, ირიცხებიან სასწავლებლიდან და საბუთები უბრუნდებათ გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში.

განცხადებები მიიღება 27 აგვისტომდე ყოველდღე, გარდა კვირისა. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

შენიშვნა: წელს, როგორც გამონაკლისი, ერთწლიან ტექნიკურ ჯგუფში სურვილისამებრ მიიღებიან ცხრაკლასდამთავრებულები, ხარატის სპეციალობაზე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სასწავლებლის დირექციას.

მისამართი: ზუგდიდი, კრილოვის ჩიხი № 8, ტელეფონი: 2-32-37.

---

ლირიკული რვეულიდან

### ვედრება

იქნება შევძლოთ, იქნება შევძლოთ,
რომ შევაჩეროთ ის ვარსკვლავები
დღემდე ცდუნება რომ ვერ მოასწრეს
და ზეცას შერჩნენ როგორც ხალები.
იქნება შევძლოთ, რომ ჩვენი ხმები
ავიდეს ცაში მათთან ვედრებად,
რომ ნურასოდეს ნუ გაქრებიან
და ნულარ მოვლენ ვარსკვლავთცვენებად.

### ასე ინება

ახლა შენამდე ბილიკიც არ ჩანს
და ჩემი ხვედრი — ტკივილის ხმები
დღემდე ავსებენ ჩემს მარტოობას
და როგორც ადრე — შენ მესიზმრები.
თეთრი მოლბერტი ჩანს ცარიელი,
ახლა ყველაფერს სიზმარი ჭქვია,
ვერ შეველიე და დღესაც ჩემში
შენი სახელის ბგერები თრთიან...
ჩვენ დავისაჯეთ ურჩი ბავშვივით,
ბედმა თუ ღმერთმა ასე ინება
და ასე გაჰყვა მდინარეს ზღვამდე
ჩვენი ცხოვრების მკაცრი დინება.

ნაზი ყალიჩავა.

---

წერილი რედაქციას

## ახალი სიცოცხლე

მიმდინარე წლის 25 მარტს ხანძარმა შთანთქა ჩვენი შეძლებული ოჯახი სოფელ ორსანტიაში. სასოწარკვეთილებს არა დაგვრჩა რა გარდა იმისა, რაც ტანზე გვემოსა.

ხანძრის მიზეზად ელსადენების მოუწესრიგებლობა იქნა მიჩნეული. გაუფერულდა ჩვენი, მრავალრიცხოვანი ოჯახის ცხოვრება. ნაცარტუტად ქცეულ სახლს ვინ იფიქრებდა თუ ოდესმე დაუბრუნდებოდა ახალი სიცოცხლე, მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, სოფელ ორსანტიის მკვიდრნი, ახლობელ-ნათესავები, რომლებმაც როგორც იტყვიან „თითო აგური" შემატეს მშენებლობას, რომელიც დავიწყეთ ზუგდიდის პრეფექტურის (პრეფექტი თ. ფორჩხიძე, მოადგილე პ. ჩუხუა) დახმარებითა და თანადგომით. ფეხზე დადგა ორსანტიის საკრებულო (გამგებელი ზ. ხუფაცარია) და ზუგდიდის დემოგრაფიული საზოგადოება (თავმჯდომარე მ. ჯიქია). ექვსი შვილის დედას გამომიყვეს ავეჯი, გამიწიეს ფულადი დახმარება. სახელმწიფოსაგან ავიღეთ გრძელვადიანი კრედიტი.

ოჯახი ამაღლდა სულიერად. სულ მალე ფერფლისაგან აღმდგარ სახლში გადავა ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომლის თითოეული წევრი მადლობას უხდის ყველა იმათ, ვინც გამოგვიწოდა დახმარების ხელი.

იცოცხლეთ შვილებო, გფარავდეთ ღმერთი!

ეთერ პაპასქუა-ეხვაია.

---

## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ზუგდიდის ბაზრის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ბაზრის ტერიტორიის მანქანებით გადატვირთვის გამო დილის 7 საათიდან 11 საათამდე დაიშვებიან მხოლოდ პროდუქტით დატვირთული ავტომანქანები, 11 საათის შემდეგ ბაზრის უკანა შემოსასვლელი დაიკეტება. მოვაჰრე მოქალაქეებს ვთხოვთ გამოიჩინონ გულისხმიერება და ხელი შეუწყონ ადმინისტრაციას, რათა ბაზარში იყოს ნორმალური ვაჭრობის პირობები.

ბაზრის ადმინისტრაცია.

---

## ყურადღება, ყურადღება!

მრავალდარგოვანი კოოპერატივი „გარანტია", რომელიც მდებარეობს მდინარე ჩხოუშიას მარცხენა სანაპიროზე, აწყობს მოსახლეობის პირად სარგებლობაში არსებული სასურსათო და არასასურსათო საქონლის ბაზრობას ყოველ შაბათ-კვირას.

ვისაც სურს აუცილებელი პირველადი მოხმარების საქონლის კომერციულ ფასებზე უფრო იაფად შეძენა, ვთხოვთ მობრძანდნენ შაბათ-კვირას.

კოოპერატივ „გარანტიას" ადმინისტრაცია.

---

მეუღლე სულიკო, შვილი მალხაზი, და თამარა, ძმა ვარლამი კიკავა, რძლები: ლუსია, ნელი, ასმათი, ჯული. ცოლისძმები: გვეძი, ლოთია. ცოლისდები: ლიზა, ფანტიშა. ძმისშვილები: გიგლა, დალი, მარინე, ანზორი, ზამირა, ნატო, მაია კიკავები. დისშვილები: ტარიელი, ავთანდილი, მიმოზა, დარეჯანი სიჭინავები, ქვისლი: კარლო ნარმანია. მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**აზელი გაგოს ძე კიკავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 8, 9 აგვისტოს დაკრძალვა 10 აგვისტოს სოფ. ორსანტიაში.

---

ფაიფურის ქარხნის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

**ბესიკო ბონდოს ძე ცაცუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: მაღონა, თამაზი ნაჭყებიები, და ლოლა, ძმა გაგალი გეთია, მული მელანია ნაჭყებია. შვილიშვილები: მამუკა, მარიეტა კაკულიები. თამუნა, ირაკლი ნაჭყებიები. რძლები: დალი დარასელია, მედიკო რუსეიშვილი, აგნიცა ყურაშვილი, მერი ზარქუა. სიძეები: ვაჟა კაკულია, გოგილო ნაჭყებია, ვალიკო გრიგოლაია, თორნიკე მებონია. დისშვილები: რევაზი, ნუგზარი ნაჭყებიები. ვახტანგი, ნათელა გრიგოლაიები. მულიშვილები: ნათელა, ბაქო, გოგოლა მებონიები. მზახლები: ნაირა, ალიოშა დარასელიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**მაჭუჰი გეთია-ნაჭყებიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 აგვისტოს. დაკრძალვა 11 აგვისტოს გამოსვენება 18-საათზე, კოსტავას ქ. № 102.

---

შვილები: ციალა, ნელი, რადიონი, რაფიელი, ბონდო. რძლები: ნონა, ლიანა, ნაირა, ცინა, ნათელა, ქსენია. სიძეები: შოთა კვირკველია, გურამი კუკავა. მულები ოლია, ნუცა, ქიქინო, შუშანიკა, მაზლი მიშა. შვილიშვილები, შვილიშვილთაშვილები ახლო ნათესავებით იუწყებიან

**საშა (ჭუტა) ანდრონიკეს ასულ გერგაია-ჯაბუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 აგვისტოს დაკრძალვა 11 აგვისტოს სოფ. ოდიშში.

---

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის კოლექტივი იუწყება ამავე გაერთიანების სოხუმის ფილიალის დირექტორის პროფესორ

**ვალიკო პლატონის ძე გვასალიას**

გარდაცვალებას.

---

რედაქტორი ალ. შანტურია.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2 25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 07, ტირაჟი 5000 შეკ. № 3267